ვამტკიცებ

სალომე სარალიძე
სსიპ- აკაკი წერეთკის სახელობის ქალქ ქუთაისის
#1 საჯარო სკოლის დირექტორი

სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ქუთაისის #1საჯარო სკოლის პედაგოპგიური საბჭოს
დებულება

ქალაქი ქუთაისი
2014 წელი

სსიპ– აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ქუთაისის #1 საჯარო სკოლის
სკოლის პედაგოგიური საბჭოს დებულება

თავი I
ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. წესის რეგულირების სფერო

ეს წესი განსაზღვრავს სსიპ– აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ქუთაისის #1 საჯარო სკოლის
პედაგოგიური საბჭოს მუშაობის წესსა და პირობებს.

მუხლი 2. პედაგოგიური საბჭოს მიზნები და საქმიანობის ძირითადი მიმართულებები

2.1. სსიპ– აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ქუთისის #1 საჯარო სკოლის პედაგოგიური საბჭო
წარმოადგენს სკოლის მასწავლებელთა თვითმმართველობის ორგანოს, რომელშიც შედის სსიპ– აკაკი
წერეთლის სახელობის ქალაქ ქუთისის #1 საჯარო სკოლის ყველა პედაგოგი.

2.2. სსიპ– აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ქუთისის #1 საჯარო სკოლის პედაგოგიური საბჭო თავისი საქმიანობით შეესაბამება "ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ამ დებულებით დადგენილ მოთხოვნებს.

2.3. სსიპ– აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ქუთისის #1 საჯარო სკოლის პედაგოგიური საბჭოს საქმიანობის ძირითად მიმართულებებს წარმოადგენს:

ა) სკოლის საგანმანათლებლო-პედაგოგიური საქმიანობის ხელშეწყობა და განვითარება;

ბ) სკოლის სამეურვეო საბჭოსთან შეთანხმების შემდეგ ეროვნულ სასწავლო გეგმაზე დაფუძნებული სასკოლო სასწავლო გეგმის შემუშავება–დამტკიცება;

გ) სკოლაში მიმდინარე სასწავლო პროცესის თვითშეფასება და ამ შეფასების შესაბამისობის დადგენა ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების დოკუმენტთან, ეროვნულ სასწავლო გეგმებთან და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ნორმატივებთან ;

დ) საჭიროების შემთხვევაში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლისათვის ეროვნულ სასწავლო გეგმაზე დაფუძნებული სასწავლო გეგმის შემუშავება- დამტკიცება;

ე) სასკოლო კათედრების თანამშრომლობის ხელშეწყობა;

ვ) მასწავლებლის პროფესიული მომზადების, უწყვეტი პროფესიული განვითარების, პრაქტიკული საქმიანობის ანალიზის, შეფასებისა და პროფესიული წარმატებების განხილვა–ხელშეწყობა;

მუხლი 3 . პედაგოგიური საბჭოს ფუნქციები

3.1. ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, დირექტორის მონაწილეობით შეიმუშავებს და სამეურვეო საბჭოსთან შეთანხმებით ამტკიცებს სასკოლო სასწავლო გეგმებს;

3.2. საჭიროების შემთხვევაში, დირექტორთან შეთანხმებით ამტკიცებს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას;

3.3.სამეურვეო საბჭოსთან შეთანხმებით, საფეხურებისა და საგნების შესაბამისად ამტკიცებს სასწავლო მასალას, მათ შორის, გრიფმინიჭებული, პედაგოგების მიერ შერჩეული, სასწავლო წლის განმავლობაში გამოსაყენებელი სახელმძღვანელოების ნუსხას;
3.4. ირჩევს თავის წარმომადგენლებს სამეურვეო საბჭოში;
3.5.უფლებამოსილია ვადამდე გადაირჩიოს თავისი წარმომადგენელი სამეურვეო საბჭოში.

თავი II

სკოლის პედაგოგიური საბჭოს სამართლებრივი საფუძვლები, ურთიერთობა მესამე პირებთან, უფლება - მოვალეობები

მუხლი 4. სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ქუთაისის #1 საჯარო სკოლის საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლები:

4.1. სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ქუთაისის #1 საჯარო სკოლის პედაგოგიური საბჭოს სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება საბჭოს წევრთა ნახევარზე მეტი;

4.2. პედაგოგიურ საბჭოში ყველა მასწავლებელი და მასწავლებლობის მაძიებელი სარგებლობს თანაბარი ხმის უფლებით;

4.3. სკოლის პედაგოგიურ საბჭოს ხელმძღვანელობს პედაგოგიური საბჭოს თავმჯდომარე, რომელიც აირჩევა 3 წლის ვადით, სიითი შემადგენლ;ობის უმრავლესობით;

4.4. პედაგოგიური საბჭოს სხდომებს იწვევს და წარმართავს პედაგოგიური საბჭოს თავმჯდომარე;

4.5. საბჭოს წევრთა ერთ მესამედს უფლება აქვს ნებისმიერ დროს მოიწვიოს პედაგოგიური საბჭოს სხდომა, მოითხოვოს სამეურვეო საბჭოში მათი წარმომადგენლის მოსმენა;
4.6. სკოლის პედაგოგიური საბჭო გადაწყვეტილება იღებს ხმების უმრავლესობით, არანაკლებ საერთო ხმების ერთი მესამედისა;

4.7. პედაგოგიური საბჭოს სხდომის დღის წესრიგი, სხდომაზე დამსწრეთა ვინაობა, კენჭისყრის შედეგები და მიღებული გადაწყვეტილებბები ფორმდება პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმით,რომელსაც ხელს აწერს საბჭოს თავმჯდომარე, საბჭოს მდივანი;

4.8. პედაგოგიურ საბჭოში მის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე იქმნება ცალკეული სამუშაო ჯგუფები – კათედრები, თვითშეფასების ჯგუფები, რომლებიც ასრულებენ სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ქუთაისის #1 საჯარო სკოლის პედაგოგიური საბჭოს საბჭოს დავალებებს და ანგარიშვალდებულნი არიან მის წინაშე.

თავი III
გარდამავალი დებულებანი

მუხლი 5. გარდამავალი დებულებები

წინამდებარე დებულება შესაძლებელის შეიცვალოს საქართველოს მოქმედ კანონმდებლობათა ცვლილების შესაბამისად.